საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალის ქედი

ბალის ქედი, ქედი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოების, უშბის მასივის სამხრ. დადაბლებული ნაწილი, მდ-ების დოლრისა და ენგურ–მესტიაჭალის აუზების წყალგამყოფი. სიგრძე დაახლ. 6–7 კმ.

აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. დაფარულია ტყით და დოლრის მეოთხეული მყინვარის მორენებით. ისტ. საზღვარი ბალსქვემო ანუ სადადეშქელიანო სვანეთი|სადადეშქელიანო სვანეთსა და ბალსზემო, ანუ „თავისუფალ სვანეთს“ შორის. შუა ნაწილში აღმართულია ზ. დ. 2529 მ სიმაღლის უსახელო მწვერვალი.

ლ. მარუაშვილი